ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N ე/3505/69

ქ. თბილისი

19.11. 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში ,,შემსყიდველი", მინისტრის მოადგილის ზაზა სოფრომაძის სახით, და მეორე მხრივ, შპს ,,საფკო", (426112002) თორნიკე თოდრიას სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი".

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის N38 დადგენილებით დამტკიცებული შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სატრენინგო მომსახურების შესყიდვაზე (კლასიფიკატორის კოდი 80500000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება 10 000 (ათი ათასი) ლარად (შემდგომში ,,ხელშეკრულების ფასი").

3. გასაწევი მომსახურების აღწერილობა:

3.1. შრომის პირობების განმახორციელებელი 25 პირის (მონიტორების) ტრენინგი თემაზე:

- სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სისტემები - 14-18 დეკემბერი.

4. მომსახურების გაწევის პირობები:

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ. ეროვნული ტრენინგ ცენტრის შენობა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდგომ, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნის (ინსპექტირების აქტი) საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება.

6.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოება ერთჯერადად, გაწეული მომსახურების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის და ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნის (ინსპექტირების აქტი) საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.1.3. მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს მომსახურების გაწევა და მისი დამთავრება დადგენილ ვადებში.

7.1.4. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევში წარმოადგინოს სატრენინგო მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

7.2. ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.

7.2.3. უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

7.2.4. დროულად განიხილოს ,,მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლებები

8.1. ,,მიმწოდებელს“ უფლებააქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული დასრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.2. ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არისფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულებაში ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდება ზეემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა მოლაპარაკებებით შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვადების დარღვევის შემთხევვაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0, 02%-ის ოდენობით.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 6%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლი;

14.2. ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს/კონტროლს განახორციელებს სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი მონიკა ჭანია.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 10 იანვრის ჩათვლით.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

16.2. ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად შეწყდეს ასევე, თუ მხარე სისტემატურად არღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს;.

17. დასკვნითი პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თბილისი, წერეთლის გამზ. N144 ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დEPARTAMENტი საიდენტიფიკაციო კოდი 2[illegible]33395	შპს „საფკო“ „თი ბი სი“ ბანკი TBCBGE22 ა/ა GE49TB7577836080[illegible]
ზაზა სოფრომაძე მინისტრის მოადგილე	თორნიკე [illegible]

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

ე. ჯაგერენაია

ი. ქიტიაშვილი

ი. აბრამიშვილი

ი. გვასალია

მ. ჭანია

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

19 11 2015 წ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს „საფკოს“ მიმართ სრულიად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესს.

ზ. სოფრომაძე

ი. ბიბილაშვილი

ი. აბრამიშვილი

ე. ჯგერენაია

მ. ჭანია

ნ. ბერუაშვილი